ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი

25.02.2026 წელი
11:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: ვლადიმერ ნანაძე, სამსონ კვაჭაძე, თორნიკე მითაიშვილი, ჯუმბერ ბლაგიძე, მაია ლომთაძე, გიორგი იმნაიშვილი, კარლო კვიტაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გოგი მორჩილაძე (შვებულება).

კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: \ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 8; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება სოფ. ჯაპანაში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8000კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. დაინტერესებული პირის მოქალაქე

ირაკლი გაბაშვილის (კანცელარიის N19/302501729/30 17.01.2025 წ) მომართვის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაპანაში მდებარე 8000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.04.45.232) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, 5 წლის ვადით, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი. აღნიშნულისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა. ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვლილია ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან 58640 ლარიდან, გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (10.0-%) შესაბამისად, რომლის თანახმად ის არის 5864 ლარი, ნაცვლად გაწერილი ციფრისა-586.40 ლარის.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ დასვა კითხვა -დაინტერესებულ პიროვნებას ჰქონდა თუ არა წარმოდგენილი სამომავლო გეგმა თუ რისი განხორციელება სურდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, რაზე ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ განმარტა, რომ როგორც ცნობილია დაინტერესებული პირი ფერმერული მეურნეობის (იხვები) გაშენებას გეგმავს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №3

25.02.2026 წელი
11:30 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: \ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა .

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.02. 2026 წელი
11:30 საათი

	სახელი, გვარი	11	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 20	
2	გიორგი იმნაიშვილი	11 25	
3	ვლადიმერ ნანაძე	11 25	
4	მაია ლომთაძე	11 : 27	
5	სამსონ კვაჭაძე	11 28	
6	გოგი მორჩილაძე	[illegible]	
7	კარლო კვიტაიშვილი	11 25	
8	თორნიკე მითაიშვილი	11 20	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	11 20	